

საგზაო

14
წიგნი
გვერდი

საგზაოს 57-ე წელი. (№ 1576) ივლისი, 1980, ფასი 20 კპ.

— რას იკლავ ამ თამბაქოს ნავით თავს?! არ იცი, რომ მავნე-
გულია?
— მავნებელი კი არა, მარბაგელია: ნახევარზე მეტი თივანა შიგ!



გ. გ. გ. 80

ნიანგი ლაგოდეხში

პარტიის რაიკომის შენობა დილადრიან უკვე საბრძოლო შტაბს წააგავს: აქ იკრიბებიან კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, პარტორგები, სპეციალისტები. მუშავდება მინდვრის სამუშაოების ორგანიზებულად ჩატარების ტაქტიკა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ განვითარებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და 1979 წლის ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ჩვენი ამოცანაა — გავაძლიეროთ კადრების პასუხისმგებლობა, ავამოქმედოთ ყველა რეზერვი, დავრავმოთ რაიონის მშრომელები ახალი ამოცანების შესასრულებლად და, ამასთან, ავამაღლოთ შრომის კულტურა.

რაიონში ერთ-ერთი რთული უბანია თამბაქოს პლანტაციები. თამბაქოს მოვლა შრომატევადი პროცესია, დიდ გარჯასა და გულმოდგინებას მოითხოვს. წელს ლაგოდეხის რაიონის მშრომელები 8,200 ტონა მაღალხარისხოვანი თამბაქოს მოსავლანად იბრძვიან. — მართალია, გეგმა ერთობ დაძაბულია, მაგრამ ძალებს არ დავზოგავთ მის შესასრულებლად. ოღონდ ერთი რამ გვაფიქრებს: დღეისთვის რაიონში არსებული თამბაქოს საშრობები გათვალისწინებულია 5,000 ტონისათვის. რა უწყობს დანარჩენ მოსავალს? 1977 წელს აქ დაწყებულ იქნა თამბაქოს მზით საშრობი ფარდულების მშენებლობა, მაგრამ, როგორც ჩანს, მათი იმედი არ უნდა გვეკონდეს. ვფიქრობთ, სომ არ გამოგვეყენებინა საკარმიდამო ნაკვეთებზე აგებული პოლიეთილენის სათბურები, თამბაქოს შრომის დროს კიტრი სომ მოლუღლია?! ერთი სიტყვით, უნდა ვიღონოთ რამე, თანაც უმოკლეს დროში!

უფრო მწვავედ დგას მუშახელის საკითხი და უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემის გადაჭრა უფრო მეტ სიძნელეებთან არის დაკავშირებული! — გვიამბო იმ დილით რაიკომის პირველმა მდივანმა **ვალერიან ბაქრაძემ**.

ლაგოდეხელი მუშურები

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობის მუშები და ტექნიკური ინტელიგენცია თავდადებით იბრძვიან ხვავისა და ბარაქის შესაქმნელად. მათ შორის ბევრია ნოვატორი, წარმოების მონაწილე, ორდენოსანი, შრომის გმირი. მართკო კოლმეურნეობა შრომაში 37 სოციალისტური შრომის გმირია!

დიახ, მონაწილეთა მთელი თანაგარსკვლავები ჰყავს რაიონს, მათგან ჩვენ ოთხი პირველივე შემხვედრი ამოვარჩიეთ. აი ისინიც:

ელენე იოსების ასული ვორბაძე — ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის ვარსკვლავთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი სიკაშკაშით. ელენე არის თამბაქოს, აბრეშუმის, პარკისა და რეზანის სარეკორდო მოსავლების ოსტატი, რომლის წოდებებს სათვალავი არა აქვს: სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული, ხუთწლედის დამკვერელი, მრავალჯგზის მედალოსანი, ლენინის ორდენოსანი, ოქროსვარსკვლავოსანი!

ლენინის ორდენით 1969 წელს თამბაქოს უხვი მოსავლის მიღებისათვის დააჯილდოეს, ხოლო 1973 წელს ბევრად გააუმჯობესა წინა წლების შედეგები — 0,65 ჰექტარ ფართობზე, გეგმით გათვალისწინებულ 1100 კილოგრამის ნაცვლად, 2428 კილოგრამი მიიღო, რისთვისაც მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება და გადაეცა მეორე ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი. მაგრამ ელენე მიღწეულით არ კმაყოფილდება, ამჟამად 0,80 ჰექტარ თამბაქოს წარგავს უვლის და განზრახული აქვს, გეგმით გათვალისწინებული 1480 კილოგრამის ნაცვლად, მიიღოს 2500 კილოგრამი მაღალხარისხოვანი თამბაქო.

შარშან ელენე გორგაძემ ტონანახევარი კიტრი ჩააბარა სახელმწიფოს, წელს თავის ნაკვეთში 0,15 ჰექტარზე თამბაქო აქვს გადარგული და აბრეშუმის ჭიასაც უვლის.

განვავრძობთ მისი წოდებების ჩამოთვლას: ლაგოდეხის რაიონული საბჭოს მრავალი მოწვევის დე-



რეპორტი გვერებების!

(ძღვანელ ზოგ-ზოგ ამხანაგს)

ადგილი, რომელიც ჩვენ არ გვეკუთვნის, მოგვცეს?!
 გვეჭირდება?!
 რა თავში ვიხლით ყალბად შეფუთვნილ სახელ-დიდებას?!
 აღიარებას, — რაღაც მანქანით, — ლაქიურ შიშით კვლავ ველოდებით — დადგენილებით სხდომის თუ კრების?!
 რადგან გვაშინებს, ვინც კაცად იშვა, ვინც ვაჟკაცია და კვდება ერთხელ! მაღალი არის ყველა მწვერვალი პა-ტი-ოს-ნი-სა!
 ცუდზე ცუდია, თუ არ ბრიალებს ჩანგი მგოსნისა! ზოგი ჩვენგანი აისბერგივით სიცრუის ზღვაში სხეულს ვაფუებთ და ყალბ „ხეოფსებს“, ვითომ მწვერვალზე, როგორც თვითონ გვსურს, საქებრად გავშლით! ამიტომ ვაშობ: რაც არ გვეკუთვნის, ქუდი იმგვარი რატომ გვეჭირდება?! ბევრი მლიქვნელის ქურქში შეგვფუთნა ჩვენმა უნიჭო სახელ-დიდებაში!
 გაგვიგონია: ალაო თოვლი როცა ქრებაო, ერთობ ბარაქობს, დრო რკინას ფქვავს და... გვენამს, პირველ ყოვლის, ჩვენი სახელის თოვლ-ჭყაპსაც მალე, მალე გააქრობს!

დიდარ ივარდავა



საჭვო კაცი ჩვეს, უფროსო!
 ვამოსვლისთანავე სიგარეტი ჩააქრო, სანაბავში ჩაბრუნო და კუ-ლიც მოიხადა..

თავის დროზე მოვლენ

თეთრსალათიანი
 კაცი და ქალი დგანან კართან. ქალს რაღაც წითელჯვრიანი თეთრი ყუთი უჭირავს მარცხენა ხელში. კაცს ხალათის გულის ჯიბეში ფონენდოსკოპი უდევს, სათვალე უკეთია. მაღალია, გამხდარი.
 — მოვიდნენ ალბათ! შემოუშვი, იქნებ მომისწრონ!
 — ვინ მოვიდნენ, ვინ შემოვუშვა?!
 — სასწრაფო დახმარების ექიმები!
 — რა იცი, რომ სასწრაფო დახმარების ექიმები არიან?!
 — ხომ გამოვიდახეთ?
 — კი, გამოვიდახეთ!
 — ჰოდა, მოვიდნენ კიდეც!
 — როგორ?! ასე სწრაფად?!
 — რატომ სწრაფად? ამ დილით არ გამოვიდახეთ?!
 — მერე?!
 — მერე, რა დროა ახლა?!
 — სამის ნახევარი!
 — მერედა, ამდენ ხანს ხომ უნდა მოსულიყვნენ?!
 — ასე სწრაფად როდის იყო, სასწრაფო მოდიოდა?! ვერ გავუღებ კარს!
 — გაუღე, აღარ შემოიძლია!
 — ვის გავუღო, რას მეუბნები?!
 — ექიმებს!
 — ექიმები თავის დროზე მოვლენ!
 — გაუ... ვაი!..

ნოვადი ბართია

ურაზები

- ადამიანი მარტოა ცარგალ უღერს, ადამიანობა — უკეთესად.
- საპაპადგოვოს ადმინისტრაცია კრიტიკას ავადმყოფურად იღებდა.
- რისკაე არც ყველა მიდის და არც ყველა წასული ბრუნდება.
- განცხადება უცამედი დღეო მალაზიაში: „ისარგებლეთ ჩვენი მეთვალყურეობით!“

ნ. ი. ყაინაშვილისა



უსიტყვოდ

გალაკთიანული აუროზიზები

ქელეხიდან შემოსული არგებს ხორცსა, მერმე — სულსა!
 —
 თუ ღვინოს შაქრით აყენებ, ღარიბად არ იხსენები!
 —
 მას მკურნალმა რარიგ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რასა მისცემს?!
 —
 კაცმა ჯიბე გაისქელოს, ვეჭვ, ჭკუასა ესე სჯობდეს!
 —
 ვინც გამოსარჩენს არ ეძებს, იგი თავისა მტერია!
 —
 სახაშეში თუ დანიშნეს, დასჯერდეს და მას უზნობდეს!
 —
 თუ ქრთამსა მისცემ მექრთამეს, არ არის დაკარგულია!

ვასილ სიმონია

(აბაშის რ-ნი, სოფ. კეთილარი)

ლექსიკონი

ღიება — დაპროგრამებული შიმშილი.
 კარანტინი — დრო, რომელიც ეძლევა ჯანმრთელ ადამიანს ავად გასახდომად.
 ავტორიტეტი — თერმომეტრივითაა: ხან აიწევა, ხან — დაიწევა.
 გივლა ბახტაძე

ენის გასატანნი საკანცელარიო თემაზე

მომადგა დილით და მიმართვა მომართვა! დავხიე მიმართვა! — ახალი მომართვა!
 დავხიე! — ახალი მომართვა მომართვა! მომართვა მიმართვა! მომართვა მომართვა!.. და ახლა ბლომად მაქვს მიმართვა, მომართვაც!..

ბია-ბია

ანთიპოლაგო, ბაყოფაო, კააკა!

დიდება შენდა, მამულის წინსვლავ,
ზეიმურობის გამჩენო დედავ!
დღეს მე უმაღლეს მწვერვალზე ვდგავარ
და მწვერვალიდან ყველაფერს ვხედავ:

მოჩანს სხვაობა ძველის და ახლის,
ალმშენებლობის საქმე დიადი!..
თქმა აღარ უნდა — ნლების შენებას
დრომ დაუნერა ნაღდი ფრიადი!

დღე, ისიც ითქვას, რაც ნაკლად გვანევს,
რაიც ჯერ კიდევ სადევარიო, —
რომ ძალა ჰქონდეს სიმართლის სიტყვას,
საქები ისეც საქებარია!

ჩვენს გვერდით ზოგი დღესაც თამაშობს
„ორიგინალურ“ მსახიობობას!..
მართლაც რომ დიდი ნიჭი სჭირდება
ასეთთა სახის უნიჭობას!

„კვიცი გვარზე ხტის“ — ათასგზის მჯერა!
ჩვენი ყოფისთვის — ვაშა წინაპარს!
რას მისცემს მამულს მოდგმა იმათი,
ვინც თაღლითობით ოჯახს ინახავს?!

ზოგს წესადა აქვს ლაქუცი, მანჭვა,
ფულის გულისთვის რას არ იკადრებს?!
თუ გაუჭირდა, მოგვეცა ლხენა,
ისე დაგიღრენს, — ძალლად ივარგებს!

რა მოხდა მერე? — ხან გიჭირს, გილხინს!..
განა უმისოდ ქვეყნად ვინ იყო?!
არ არის ძალა ჭეშმარიტების,
სიბრყივემ რომ არ გააქილიკოს!

ზოგ-ზოგთა საქმე გასაკვირველი
სადავოდა ხდის საკითხს უდავოს!
თვით მაინ რიდიც ველარ იცნობდა,
ვითომ თავიანს, მაგრამ უთავოს!

ვთქვათ გულახდილად: ძალიან ხშირად,
შენს ცხოვრებაში დგება მომენტი, —
შენვე ნითლდები სხვისა მაგივრად,
თითქოს შენ იყო ავისმოქმედი!

სად გაგონილა კაცი ბრაზობდეს
და არაფერი არ აბრაზებდეს?!
საწყენი არის, ზოგან რომ მიხვალ,
და კაცს კაცურად არ გაფასებენ!

ზოგს, სახის ნაცვლად, ზურგიდან იცნობ
(თუ არ გიცვნიო, მას დრო გიჩვენებს!)
ზოგი, — ლაჩრობა თვისი რომ მალოს, —
თავმდაბლობას და აღზრდას იჩემებს!

თუ ხელს არ აძლევს, არ გაიხსენებს! —
ასე ყოფილა ჩვევა-უბირის!
მეხსიერებას რას არ აბრალებს,
როცა გონებას სულ არ უჩივის!


ზოგს სამსახური (ითქვას სიმართლე!)
მისთვის მენველი ძროხა ჰგონია!..
ზოგი იმ წონას ჰკარგავს სასწორზე,
რაც სასწორამდე მაინც ჰქონია!

ზიზლით რომ ვუცქერთ ზარმაც მათხოვარს,
ვინც ქუჩა-ქუჩა ხურდას თხოულობს,
რით განსხვავდება მისგან ის ტიპი, —
ნამგლეჯობით რომ ფულებს შოულობს?!

არ ვიცი, რატომ, პატიოსანი
შრომა ზოგ-ზოგმა რად არ ისურვა?!
ანტიპოდებო, გეყოფათ, კმარა! —
მოთმენის ვადა ამოიწურა!

მირანგულ ავსაჯანიშვილი

ნ.ბ. მ. აბაშიძის



„მოშიაგი“ მოფრინდნენ!..

ლოცვა კოგინაბოკოვილისა P.S-ით

ილოცავს, იტყვის: მაღალო ღმერთო, სადა ხარ, სადაო?! —
ზოგჯერ მომცემო ციხეთა, ზოგჯერ — კეთილთა მზათაო,
უცნაურო და უთქმელო, არცა ამღებო ქრთამთაო,
მომხედე დილეგს შინა მყოფს, ვერსაით მჭვრეტსა გზათაო!

ახლა შენდა გეაჯები, ვინ ფულს ვხვეტდი, ვითა მტვერსა,
ქვეყნად მე ვინ მასწავლიდა ფულის გადაღუნვის წესსა?!
დამიჭირეს, მომამორვეს ძვირად ნაყიდს ადგილს ძველსა,
რაც მეხვეტა, ჩამომართვეს, გავექიცი ვერც სასჯელსა!..

ღმერთო, ღმერთო, მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე,
შენგან ვითხოვ შენევენასა, და თუ მალე გამოვიდე,
მილიცია, კონტროლი და მსგავსი მავნე განმარდიე,
თუ ბედს მწვედე, გამსახურებდე, წილსაც მუქთად მოგითლიდე!

P. S.

ამ ლოცვაში ერთმა, ორმა... ხუთმა ნელმა გაიარნა,
ვერცა ღმერთმან რამ ჩაუნყო, საბრალომან ცრემლნი ღვარნა,
მუნვე ზის და მკერდსა იცემს, თავსაც იცემს ხშირად, გარნა,
ვინცა ხვეტა, ბოლომდისა განა ყველამ გაიხარნა?!

ჯერ მის მსგავსთა ზოგ წისქვილსა წყალი მისდის თუმცა „ლევად“,
ბევრსა მღვრიე წყაროსთვალსა ჯერ დაკლება არ ემჩნევა,
თუ საქმეში სახკონტროლი, ვითა ჯერ არს, ჩაერევა, —
ვით ბარე ორს არევიო, — „საქმე“ სხვებსაც აერევა!

იხიდი ჯახუა



წულუკიძის რაიონის სოფელ გორდიან რედაქციას მოსწერეს ნაკლოვანებებსა და დარღვევებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა გორდის საბჭოთა მეურნეობაში და სოფლის მოსახლეობის სამედიცინო და სატრანსპორტო მომსახურებაში.

სახალხო დეპუტატების წულუკიძის რაიონული საბჭოს აღმასკომიდან, სადაც აღნიშნული წერილი გადაიგზავნა, რედაქციას აცნობეს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

გორდის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში გამოვლინდა სახელმწიფო სახსრების მითვისების, აღრიცხვიანობის მოუწყვრეგებლობის, უკონტროლობის, უდისციპლინობისა და სხვა დანაშაულობათა ფაქტები, რაც აღმინისტრაციული ორგანოებისა და საქართველოს კბ წულუკიძის რაიკომის ბიუროს მსჯელობის საგანი გახდა. მეურნეობის დირექტორი დ. ჩიქოვანი გათავისუფლდა თანამდებობიდან და დაედო პარტიული სასჯელი. პარტიული სასჯელები დაედო მეურნეობის მთავარ აგრონომს ი. ბობოხიძეს, მთავარ ეკონომისტს ა. ჩიქოვანს და მთავარ ზოტექნიკოსს ი. ჩიქოვანს.

წულუკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ მეურნეობის მოლარე-მონაგარიშეს გ. ჯაიანს, რომელმაც მიითვისა 9615 მანეთი, 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

საქართველოს კბ წულუკიძის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა მთელი რიგი ღონისძიებანი განახორცი-

ელეს მეურნეობის საწარმოო-საფინანსო საქმიანობის გასაუმჯობესებლად, ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიიღო სპეციალური დადგენილება გორდის საბჭოთა მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

მიღებულია ზომები, აგრეთვე, სოფელ გორდის მცხოვრებთა სამედიცინო და სატრანსპორტო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

არბ გვ აქვს კლუბი, აბანო, შესაკეთებელია გზები! — წერდნენ რედაქციას ლენინგორის რაიონის სოფელ ორჭოსანიდან.

ლენინგორის რაიონის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა რედაქციას აცნობა, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები სწორია: სოფელ ორჭოსანს ორი წელია აღარა აქვს კლუბი, კინოსურათებს უჩვენებენ მხოლოდ ზაფხულის პერიოდში ღია ცის ქვეშ.

უახლოეს დროში აღდგენილი იქნება სოფელ ორჭოსანის კლუბის შენობა, მეზობელ სოფელ წინაგარში კი შენდება კულტურის სახლი, რომელიც სოფელ ორჭოსანსაც მოემსახურება. რაც შეეხება სასოფლო გზებს, მათი შეკეთება ხდება პერიოდულად.



ნახ. მ. აბაშიძისა

მამუბურთი მამაყოფილა ანუ ყოფილი მამების საყვარელი თამაშია. ქალაქბურთს წააგავს. თვითონ მამაყოფილი „მამუთით“ თამაშს ეძახიან. აქ სპორტული ანუ ცხოვრებისეული მოედანი ორად არის გაყოფილი: ერთ მხარეს ფარზე საოჯახო კალათი ჰქვია, მეორეზე — საკუთარი ჯიბე. თამაშში მონაწილეობენ, ერთის მხრივ, მილიცია-სასამართლოს მუშაკები, რომლებიც დასდევენ ბურთით („მამუთით“) ხელში მორბენალ მამაყოფილებს, ცდილობენ, აართვან იგი და ჩააგდონ საოჯახო კალათში, თავის მხრივ ყოფილი მამები ოსტატურად უყვლიან გვერდს მილიცია-სასამართლოს მუშაკებს და ყოველთვის ზუსტად ათავსებენ ბურთს (ბოლიში, „მამუთს“) საკუთარ ჯიბეში.

მამუბურთის ოსტატები

იგი ცრუმოდრობებით უვლის გვერდს კანონის წარმომადგენლებს და ზუსტი ტყორცნით ათავსებს ბურთს („მამუთს“) საკუთარ ჯიბეში. ამასთან, ფოცხვერვით ბრძოლიანაც, როცა ბურთის („მამუთის“) წართმევას დაუპირებენ, რომ აღიმენტიც სახით საოჯახო კალათში ჩააგდონ (კალათში, რომელსაც მისი ხუთი შვილი ელოდება).

თამაშის დროს იოსები არ ერიდება უხეშობასაც, რისთვისაც მოედნიდან გააძევენ და საბრალდებულო სკამზე დასვენს.

ქვევარაძე გურამ იასონის ძე — ქალაქ მახარაძის მკვიდრი. ათი წელია მამუბურთს თამაშობს და საკმაოდ დიდი წარმატებითაც ხშირად იცვლის ადგილებს, რომ მოწინააღმდეგეთვის მიუწვდომელი გახდეს. ამ წნის მანძილზე მუდამ გვერდს უვლის კანონის

წარმომადგენლებს და სულ ერთ ფარში — საკუთარ ჯიბეში ტყორცნის ბურთს (ანუ „მამუთს“), ვრთხელოც ვერავინ ართვია, რომ საოჯახო კალათში ჩაეგდოთ. ამად ელოდებოდნენ თამაშის დასასრულს ყოფილი მეუღლე და მისი ერთადერთი ვაჟი.

ეყო მოთმინება კანონსაც, რომელიც მსაჯის როლში გამოდიოდა: უხეშობისა და კანონიერი მეგვიდრისადმი მიყენებული ტრავმისათვის გურამიც დასვა საჯარიმო... საბრალდებო სკამზე.

ყოჩიაშვილი ჯემალ გიორგის ძე — დუშეთის რაიონის მკვიდრი. მისი სპორტული ბიოგრაფია სოფელი ჰომორტით იწყება და ალბათ ამიტომაც დასჩემდა მას ბურთით („მამუთით“) ორჭოფული სირბილი მთელ მოედანზე. იმის გამო, რომ ტექნიკა აკლავს, უფრო ძალისმიერი თამაში ემარჯვება,

მაგრამ მთელ ტაიში ძალა აღარ ეყო: სპორტულმა მოწინააღმდეგეებმა — კანონიერების გუშაგებმა რამდენჯერმე აართვეს ბურთი (ანუ „მამუთი“) და საოჯახო კალათში ტყორცნეს.

ამყამდ **ყოჩიაშვილი** აღარ ყოჩობს, მაგრამ ჯერჯერობით არაფერია იცის, მომავალში რას უპირებს მიტოვებულ შვილს.

ხუბულური ემილ სერგოს ძე — ქალაქ გორის მცხოვრები, უბურთოდ („უმამუთოდ“) თამაშის შესანიშნავი ოსტატი. მოხერხებულად უვლის გვერდს ყვეგინ იცის, მომავალში მიაგლინეს კორპუსით მალავს, არც იმას ერიდება, რომ ფიზიკური და ზნეობრივი ტრავმა მიაყენოს მოწინააღმდეგეს.

სწორედ ამის გამო ისიც გააძეგს მოედნიდან და სპეციალურ საწვრთნელ კორპუსში მიაგლინეს. ამად შესცქერის ცარიელ საოჯახო კალათას მამის მომლოდინე ვაჟიშვილი.

ნ. ა. ლომიძისა



მეგ(კ)ოზრის ხელი

თუ იმპერიალისტური სახელმწიფოები ზოგჯერ განი-
თარებულ ქვეყნებს "დასახმარებლად" უწვდიან ხელს, სინამდვილე-
ში ეს მოღალატის ხელია.

ლასლო ფელაიკი
(უნგრეთი)

გამართლებული კაცნი

მთელი მსოფლიოს პრესამ აუწყა მკითხველებს, რომ დასავლეთ ბერ-
ლინის სასამართლო პალატამ საქმე აღძრა ადოლფ ჰიტლერის წინააღმდეგ —
მესამე იმპერიის ყოფილ რაიხსკანცლერსა და ფიურერს ბრალი ედება უმძიმეს
ზაერთაშორისო ხასიათის დანაშაულში.

სასამართლო ინსტანციებში მომუშავე ჩემი ერთგული მეგობრების წყა-
ლობით გავიგე, თუ როგორ მიმდინარეობდა და რით დამთავრდა ჰიტლერის
პროცესი:

უამრავი მოწმის დაკითხვისა და გულმოდგინე გამოძიების შემდეგ პრო-
კურორმა უარი განაცხადა მსჯავრის დადებაზე! სასამართლომ გაამართლა ბრალ-
დებული და დაადგინა შემდეგი:

იგი გერმანელიც კი არ იყო, მგზნებარე ავსტრიელი. პატრიოტმა 1938
წელს ავსტრიას შეუერთა გერმანია!

1940 წელს საფრანგეთთან ერთად შექმნა „საერთო ბაზარი“ და იმ დროი-
სათვის უკვე აღარ სიამოვნებდა, რომ ინგლისი ევროპის ეკონომიკურ თანამ-
შრომლობას ჩამოსცილდა!

მან ბევრი ტანჯვა-წამება გადაიტანა დანია-ნორვეგიის აგრესიის გამო, და
შემდეგ, როდესაც რუსები ვოლგის რაიონში მოულოდნელად და ავანკურად
დაესხნენ თავს, გუნება წაუხდა, ისტერიკა დაემართა და, ამ ხნიდან მოყოლე-
ბული, მეტ წილ დროს ევა ბრაუნზე ზრუნვას ანდომებდა!

იგი არ განიცდის სინდისის ქენჯნას ეგრეთ წოდებული ნაციტური დანა-
შაულის გამო, რადგან მხოლოდ და მხოლოდ ბრძანებებს იძლეოდა. მას
ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ ამ ბრძანებებს ვიღაცა ასრულებდა. მაგრამ, რო-
ცა ჰკითხეს, იცოდა თუ არა რაიმე საშინელ მხეცობათა შესახებ, ბრალდებულ-
მა მიაპიტად უპასუხა — „არა!“

— როგორ მწყინს, — დასძინა ბოლოს, — რომ ჰიმლერი გულწრფელი
არ ყოფილა ჩემთან. მისგან ამას არ მოველოდი!

სასამართლომ დაადგინა: ომის დასასრულს ჰიტლერი მონაწილეობდა
იატაკქვეშა ანტიჰიტლერულ მოძრაობაში. ომის შემდეგ ეწეოდა მშვიდობიან
ცხოვრებას, პოლიტიკას არ მისდევდა, თუმცა ბონის მთავრობამ რამდენჯერმე
შესთავაზა მას სახვითი ხელმოწერების მინისტრის პოსტი!

ბრალდებულმა საზეიმოდ განაცხადა: „არასოდეს არ ვყოფილვარ კომუ-
ნისტური პარტიის წევრი, არ ვცნობ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას
და ვარ ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების ურყევი მომხრე!“

ჰოდა, მსჯავრის დადების უარყოფის შემდეგ სასამართლომ ერთხმად გა-
მოიტანა გამამართლებელი განაჩენი. ბრალდებულმა უხმოდ დაიქნია ხელი,
რითაც დამსწრეთ მიახვედრა, ვიცი, გამართლებული ვარო, და მშვიდად დაბ-
რუნდა... ჯოჯოხეთში!

თარგმნა შოტა ამირანაშვილმა

საბჭოთა და იუბილური
ჟურნალი „სტალინი“
გენერალური რედაქტორი

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლქვაძე

საკრედიტო
კოლეგია:

- ზაზუა ამირაჯიბი
- ნოგაი ბართაია
- ზორის გურგულია
- ნოდარ ლუგაძე
- რევაზ თვათაძე
- ჯემალ ლოლუა
- ნოდარ მაღალაშვილი
- (მხატვარი-რედაქტორი)
- გეგან სინარულიძე
- (ახსუხისმგებელი მდივანი)
- ალექსანდრე ხაზონია
- გიგლა ფირცხალავა
- ჯანსუღ ჩარკვიანი
- თამაზ წივწივაძე
- ვაჟა ზანიშვილი
- (მთავარი რედ. მოადგილე)
- ნაფი ჯუსოთი

ტექნიკური რედაქტორი
მინილ კახალაშვილი

გალამცა ასაწყობად
23/VI -80 წ.
ხელმოწერილია დასაბამად
30/VII-80 წ.
ფალაღის ზომა 70x108 1/2
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 2
სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 1,7

საქართველოს კბ ცკ-ის
გამომცემლობა,
ლენინის ქ. № 14,
შეკვეთა № 1822 უე 07531
ბირაში 150.950
ჟურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩ მ ე ნ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტ მ ლ ე ფ ო ნ ე მ ბ ი: მთავარი
რედაქტორის — 93-62-04, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მგ მდივის — 93-10-78, მხ-
ტვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკე-
ბის — 99-02-38, მდივანი-მეგან-
ქანის — 99-76-69.

